შპს «არკო»
საქართველო, ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. 52.
0160.
ტ: +995 593313005.

«ARCO» LTD
GEORGIA, TBILISI, ONIASHVILI ST. 52.
0160.
P: +995 593313005.

e-mail: info@arco.com.ge www.arco.com.ge

18. 08. 2026. № დ-5/08

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, (ს/კ: 01.19.33.001.103), მრავალბინიანი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

საექსპერტიზოდ წარმოდგენილია ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №5-ში ასაშენებელი (ს/კ: 01.19.33.001.103), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი და შენობის მზიდი კონსტრუქციის, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშება. მასთან ერთად წარმოდგენილია ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები.

საპროექტო შენობა წარმოადგენს ჩარჩოკავშირებიან მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციას, რომელიც გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა. იგი შედგება 10 მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულისგან. შენობა შედგება ორი ნაკვეთურისგან, მეორე ნაკვეთური ერთ სართულიანია და წარმოადგენს მიწისქვეშა ნაგებობას. გეგმაში მართკუთხა მოხაზულობით მაქსიმალური გაბარიტული ზომებია 73.1X19.7 (I ნაკვეთური) და 73.1X12.20 (II ნაკვეთური) მეტრი. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ სამშენებლოდ გამოყოფილი მოედანი 8 ბალიან ზონაშია (სეიმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.17). ქარის ნორმატიული დაწოლა 600 პა. თოვლის დატვირთვის ნორმატიული მნიშვნელობა 500 პა. ჩაყინვის სიღრმე 0.0 სმ. წლის საშუალო ტემპერატურა 12.7 გრადუსი , წლის აბსოლუტური მინიმუმი -23 გრადუსი , წლის აბსოლუტური მაქსიმუმი +40 გრადუსი . ნალექების რაოდენობა წელიწადში 550 მმ, ნალექების დღეღამური მაქსიმუმი 146 მმ.

პროექტის მიხედვით მაღლივი შენობის საძირკველი წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითურ ფილას სისქით 90 სანტიმეტრი. ხოლო ერთ სართულიანი საპარკინგე ნაკვეთურისთვის მონოლითური ფილის სისქე 50 სანტიმეტრია. საძირკვლის ფილის ქვეშ მოწყობილია მჭლე ბეტონის მომზადება და ჰიდროიზოლაცია. საძირკვლის ფილა

ეფუძნება კენჭნაროვან გრუნტს (ს.გ.ე. I პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, P.=1.95 ტ/მ3/. E=45 მპა. R_0=450 კპა. μ=0.27 φ.=38^0).

საძირკვლის ფილაში გემოყენებულია ბეტონი, სიმტკიცის კლასით კუმშვაზე B25. W-6. სულფატომედეგ ცემენტებზე დამზადებული ბეტონები (სტანდ. 22266-76). შენობის მზიდ კონსტრუქციებში გამოყენებულია, სიმტკიცის მიხედვით კუმშვაზე B30 (სვეტები, კედლები) და B25 (ფილები ფილის წიბოები კიბეები) ბეტონი.

შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს: რკინაბეტონის მონოლითური სვეტები განივი კვეთის ზომებით: 130X30, 160X30, 110X30; 60X60, 50X50 და 40X40 სანტიმეტრი; სარდაფის შემომზღუდავი რკინაბეტონის მონოლითური კედლები სისქით h=30 სმ. რკინაბეტონის მონოლითური დიაფრაგმები სისქით h=30; h=20 სმ.

მონოლითური რკინაბეტონის რიგელები განივი კვეთით 40X50(h); 30X60(h); 20X60(h); 30X40(h); 30X40(h); 20X40(h); სანტიმეტრი.

რკინაბეტონის მონოლითური სართულშორისი გადახურვები სისქით h=20; h=17; სანტიმეტრი. მონოლიური რკინაბეტონის კიბის პანდუსები სისქით h=17 სანტიმეტრი.

შენობის მზიდი ელემენტების კონსტრუირებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც ერთიანი ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემის გაანგარიშების შედეგები მუდმივ, დროებით ხანგძლივ, დროებით ხანმოკლე ვერტიკალურ დატვირთვაზე, ჰორიზონტალურ ქარის დატვირთვაზე პულსაციის გათვალისწინებით, 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე და მათ საანგარიშო თანწყობაზე. გაანგარიშება ჩატარებულია საანგარიშო კომპლექსი LIRA SAPR 2025-ს საშუალებით.

საექსპერტიზოდ წარმოდგენილ პროექტთან მიმართებით ქვემოთ მოცემული ექსპერტის მიერ გამოთქმული **შენიშვნები სრულად იქნა გათვალისწინებული პროექტის ავტორის მიერ:**

- გადახურვის ფილის არმირების სქემის კორექტირება.
- საძირვლის ფილაში სვეტის ირგვლივ ვეტიკალური არმატურის ღეროების განლაგების ზონის დაზუსტება.
- მსუბუქი შემავსებლის, კარკასთან დაკავშირების სქემატური კვანძების დამატება.
- განმარტებით ბარათში მსუბუქი შემავსებლის მოცულობითი მასის დაზუსტება.

მოცემული ყველა კონსტრუქციული ელემენტი დანიშნულებიდან გამომდინარე მუშაობის ხასიათით და კონფიგურაციით მრავალჯერადად არის გამოყენებული და მეტ-ნაკლები სისრულით აღწერილია სახელმძღვანელოებში, საცნობარო ლიტერატურაში, ნორმატულ დოკუმენტებში და მათ მეთოდურ მითითებებში. შესაბამისად პროექტი განხორციელებულია ცნობილი კონსტრუქციული გადაწყვეტების მისადაგება-მორგება

არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტებთან, ადგილობრივ მეტეოროლოგიურ, გეოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ და სეისმოლოგიურ პირობებთან.

საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია მაღალ დონეზე, როგორც შინაარსობრივად, ისე გაფორმებით. პროექტით გადმოცემული ინფორმაცია არის სრული და ადვილად აღსათქმელი.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე წარმოდგენილი პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს შეიძლება გაეწიოს რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი: /ვაჟა ქერდიყოშვილი/


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ვაჟა
VAJA
გვარი / LAST NAME
ქერდიყოშვილი
KERDIKOSHVILI
მოქ. / CIT
სქესი / SEX
პირადი No / PERSONAL No
GEO
მმ / M
01019028384
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
28.02.1961
11.08.2030
ბარათის No / CARD No
19IC24300
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
11.08.2020
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2019
სშს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE019IC2430070101902838 4<<<<
6102283M3008111GE0<<<<<<<<<<<<6
KERDIKOSHVILI<<VAJA<<<<<<<<<<<<

დიპლომი

წარჩინებით

Г-I № 174871

ეს დიპლომი მიეცა ვაჟა
კონსტანტინეს ძე ქერდიკოშვილს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1983 წელს დაამთავრა
ამავე
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო
და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1983 წ.
„22" ივნისის გადაწყვეტილებით
ვ.კ. ქერდიკოშვილს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1983 წ. „24" IX

სარეგისტრაციო № 20902

Грузинский ш.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Г-I № 174871

Настоящий диплом выдан Кердикошвили
Важе Константиновичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1983 году окончил полный курс
названного
института
по специальности промышленное
и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „22" июня 1983 г.
Кердикошвили В.К.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор Д. Тхилава

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „24" 09 1983 г.

Регистрационный № 20902

Московская типография Гознака. 1976.

Московская типография Гознака. 1989.



Высшая аттестационная комиссия при Совете Министров СССР

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

КД № 037045

Москва 15 мая 1991 г.

Решением

Совета при Центральном научно-исследовательском и проектно-экспериментальном институте комплексных проблем строительных конструкций и сооружений им. В.А. Кучеренко

от 5 декабря 1990г. (протокол № 8)

Кердикошвили Важе Константиновичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ

КАНДИДАТА

технических наук

Председатель совета

Ученый секретарь совета

პირადი მონაცემები და სამუშაო გამოცდილება

სახელი, გვარი:	ვაჟა ქერდიყოშვილი.
მისამართი:	ქ. თბილისი; გურამიშვილის გამზ. №10ა
ტელეფონი:	+995 599 58-31-24
ელ. ფოსტა:	vajakk@mail.ru; vajakerdikoshvili@gmail.com
დაბადების თარიღი:	ქ. თბილისი 1961 წლის 28 თებერვალი.
განათლება:	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი 1983 წელი. 1987-1990 წლებში ЦНИИСК им. Кучеренко-ს ასპირანტი. ტექ. მეც. კანდიდატი
სამუშაო გამოცდილება:	1983-1987; 1990-1997 წლებში „თბილზნიიეპი“-ს საინჟინრო გათვლების მექანიზაციის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი. საექსპერტიზო, საკონსულტაციო საპროექტო შ.პ.ს. “კონექსი” – ინჟინერ-კონსტრუქტორი. 1997 წ-დან დღემდე.

ვაჟა ქერდიყოშვილის მიერ 1990 წლიდან დღემდე შესრულებულია სამას ერთეულზე მეტი სხვადასხვა სამუშაო, კერძოდ: სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშებები, პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება, კონსტრუქციული პროექტის ექსპერტიზა, შენობა-ნაგებობების კვლევა და საქსპერტო დასკვნების მომზადება, კონსულტაცია.

შესრულებული სამუშაოების კატეგორიები: სამოქალაქო, საწარმოო, ჰიდროტექნიკური, საგზაო შენობა-ნაგებობების პროექტირება.

შესრულებული პროექტების არასრული ჩამონათვალი

- სასტუმრო ივერიის რეკონსტრუქცია 2005 წ.
- მრავალფუნქციური შენობა ქ. თბილისში, ყოფილი შადიმოვის ქარვასლის ადგილას 2006 წ.
- "აქსის თაოურეი" ი. ჭავჭავაძის გამზირზე. შენობის კონსტრუქციის მათემატიკური მოდელის შექმნა და გაანგარიშება.
- ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №68-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი. 2007წ. (კალასი)
- მრავალბინიანი სახლი ქ. თბილისში, ო.თაქთაქიშვილის ქ.№10-ში 2009 წ.
- ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ-ზე მშენებარე მრავალპროფილიანი საავადმყოფო. 2010 წ.
- მრავალფუნქციური კომპლექსი რუსთაველის გამზირი№42, გრიბოედოვის ქუჩა №31-33 2010 წ.
- იუსტიციის სახლი ქ. მესტიაში 2011წ.
- იუსტიციის სახლი ქ. ახალციხე 2011წ.
- იუსტიციის სახლი ქ. მცხეთა 2012წ.
- პროკურატური შენობა ქ. რუსთავში 2012წ.
- იუსტიციის სახლი ქ. ყვარელი 2012 წ.
- იუტიციის სასწავლო ცენტრი ქ. ყვარელში 2012 წ.
- ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. №68-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი. 2013წ. (**GDG**) ახალი პროექტი.
- რეგიონალური არქივი ქ. რუსთავში. 2013 წ.
- ქ. თბილისში, კოსტავას გამზ. №43-ში მრავალფუნქციური შენობა. 2013წ.
- მრავალბინიანი საცხ. სახლი ქ. თბილისი თემქის დასახლება I კვარტალი. 2014წ.
- დაბა ბაკურიანში, დიდველის ტერიტორიაზე სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლი 2015წ. (კომპლექსი)
- "ორბი ბიჩ თაუერი" ქალაქ ბათუმში 2015

- ქ. ყვარლის მუნიციპალიტეტში შპს "ჯორჯიაზ ნეიჩრლ"-ის სამეურნეო შენობის პროექტი 2016წ.
- ქ. თბილისში მარშალ-გელოვანის გამზ. 22 ში მდებაე სავაჭრო ცენტრი “აგროჰაბი”-ის შენობის გაანგარიშება. 2016წ.
- “ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას” კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე ახალი ხაზის კირქვის სამტვრევის შენობის პროექტი. 2016წ.
- “ალიანს პალასი” ქალაქ ბათუმში 2017
- ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №16 ში მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსი. 2019.
- ქ. თბილისში, ვარკეთილი III მ/რ-ის №304 კორპუსის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. 2020
- ქ. თბილისში, წნორისწყლის ქუჩა №4-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. 2023
- ქ,თბილისში, გრიშაშვილის ქუჩა #41 და #41ბ -ში მდებარე სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი შენობა . 2022



/ვაჟა ქერდიყოშვილი/